საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 216/ს
18/05/2023

216-21-4-202305181757

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში შპს „პლასტიკ ადიოსის" პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმოსა (ნარჩენების აღდგენა) და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 6.3 და 10.3 ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. მერიაში, შპს „პლასტიკ ადიოსის" პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმოსა (ნარჩენების აღდგენა) და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N9;
2. შპს „პლასტიკ ადიოსი" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N9 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „პლასტიკ ადიოსს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „პლასტიკ ადიოსის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო